



გაზეთი გაეოღის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

მაცნე

სამტრედიის

N21 (9272)

31 ივლისი, 2018 წელი

ფასი 50 თეთრი



2

**უბრალოდ თუ უფულოდ - საკითხავი
აი ეს არის!**

**საინფორმაციო შეხვედრა
ახალი პროექტის შესახებ**

3



2 პროგრამული ბიუჯეტი კარგად რომ დაიგეგმოს

ამერიკაში მცხოვრები სამტრედიელი ემიგრანტების ქველმოქმედება

3

საკრუზილენტო არჩევნები 2018

**ზაღმატი
ზანოლა
ზაღმატ
აბრასიას და
უკუჩაქსიას
ინვესტ**



6

**ქართულად
ან გვამს
“ფუფუნება”, მტრები,
მოლაღობები და
სისხლისმსპობები
ვერსოთ ერთმანეთს**

**ბუნების
მობრუნება**


*სწორად
შენების დროა!*

7

**სუსტოვანი
ფრაგმენტო
სენაკო
აქტუალისგან**



5



**“წიგნთან ურთიერთობა
ადამიანს მეგობრულ,
თავდაბალ,
თანაგრძობის
უნარის მქონე
პიროვნებად
აყალიბებს”**

9

ზუბაიძე თუ უფულობა – საკითხავი აი ეს არის!

თბა ბაგუნაშვილი

“დახმარების გაცემა შეჩერებულია” – ეს მოკლე პასუხი გახლავთ ერთ-ერთი სოციალური დახმარების მომლოდინეთა მიერ არაერთგვაროვანი დასმულ კითხვას. მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ სამსახურში არ უარყოფენ, რომ აპრილის შემდეგ ერთჯერადი სოციალური დახმარების გაცემა შეჩერებულია. პროცესის განახლება ვერ ხერხდება იმის გამო, რომ ამ მუხლში გათვალისწინებული 6 თვის თანხა, მიმდინარე წლის აპრილის დასაწყისშივე ამოიწურა. საკრებულოს სხდომაზე არაერთხელ ნათქვამი ეს ფაქტი, ბოლო სხდომაზე კიდევ ერთხელ გაიმეორეს, რადგან სოციალური სამსახურის ბიუჯეტში გარკვეული მუხლობრივი ცვლილება გახდა საჭირო. აღინიშნა, და უკვე მერამდენედ, რომ უკეთესი იქნება, თუ ერთჯერადი დახმარების მუხლით გათვალისწინებული თანხები, საგარანტიო წერილებების საფუძველზე სასწრაფო და გადაუდებელი ოპერაციების დაფინანსებას მოხმარდება. მიუხედავად იმისა, რომ მოსახრებას ოპოზიცია დაეთანხმა, მაინც აღინიშნა, ადგილი არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკური ნიშნით დახმარების გაცემას. ისევე როგორც წინა რამდენიმე სხდომაზე, ამჯერადაც დაასახელა ოპოზიციამ ის რწმუნებულები, რომლებიც ამას აკეთებენ. ბუნებრივია, განცხადებას უმრავლესობის პროტესტი, როგორც წინა შემთხვევებში, ამჯერადაც მოჰყვა.

ოპოზიციას იმ ვარაუბის დასახელება მოსთხოვეს, ვისაც პოლიტიკური ნიშნით ეთქვა დახმარებაზე უარი. მათი განცხადებით, ტოლების თემში მცხოვრები ვინმე ცეცხლაძე ერთ-ერთი იყო მათ შორის. ამ ვარაუბის დასახელებას, ტოლების თემის მაჟორიტარის, ილია მჭავიას განცხადება მოჰყვა: “საკუთარი ფული მივეცი დახმარების სახით, სათხოვნელად აქ რომ მოვიდა. იქვე ღიზა კრავიშვილიც გახლდათ...” მის ამ განცხადებას საკრებულოს წევრი ღიზა კრავიშვილიც დაეთანხმა და დაუმოწმა კოლეგას, რომ ეს მართლაც ასე იყო და ილია მჭავიას მიცემულ თანხას გარკვეული რაოდენობა თავადაც დაამატა. თემის რწმუნებულთან გადამოწმების შემდეგ ილია მჭავიამ გაარკვია, რომ ამ პიროვნებას არ მიუძღრავს თემის რწმუნებულისთვის, მიმართა მისმა დედამ ეპილეფსიით დაავადებულზე დახმარების თხოვნით. მას აუხსნეს, რომ ამ დაავადებით დაავადებულს ისედაც ეხმარებოდნენ სოციალურ სამსახურში და დამატებით ცნობას, რომელსაც ის ითხოვდა, მუხლი არ საჭიროებდა.

გარდა ამისა, სოციალური დახმარების გაცემის მიხედვით ადგილობრივი ხელისუფლება შესაბამისი შტამის არქონას ასახელებს, რომლის გამოცვლის აუცილებლობაც ხაზინის ელექტრონულ ვერსიაზე გადასვლამ გამოიწვია. განაცხადა კიდევ საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურამ თავის კომენტარში, რომ “გარკვეული ხარვეზების, კერძოდ კი, იმის გამო, რომ დაგვიანებით მოვიდა მუნიციპალიტეტში შესაბამისი განკარგულება, გაჭიანურდა ელექტრონული ბეჭდის დამზადების პროცესი. ამით არა მხოლოდ სოციალური დახმარების გაცემის, სხვა გადაწყვეტილებების რეზოლუციებიც შეფერხდა. თუმცა, ეს საკითხი უახლოეს მომავალში მოგვარდება.”

საკრებულოს ბოლო სხდომაზე კი გამოიკვეთა, რომ მხოლოდ უშტამპობა არ უშლიდა ხელს ერთჯერადი დახმარების გაცემას. და სანამ “საკითხავი აი ის არის”, რომელია ამ ორდანი ნამდვილი მიზეზი, საკრებულოს დეპუტატები

იმხე ბჭობენ, დახმარება, რომელსაც საკმაოდ ბევრი მიზნოვანი ჰყავს და მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება, ერთჯერადი დარჩეს სოციალური სფეროს ბიუჯეტში, თუ ეს თანხაც ასევე მომრავლებული სასწრაფო ოპერაციების დასაფინანსებლად გამოიყენონ. სამწუხაროდ, სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ სამტრედიამში საგანგაშოდ გაიზარდა ონკოლოგიურ პაციენტთა რიცხვი, გადაუდებელ სამედიცინო ჩარევას რომ საჭიროებენ. რეალური ფაქტებიდან გამომდინარე, საკრებულოს სხდომაზე აღინიშნა, რომ ერთჯერადი დახმარების მიზნოვანლთა შორის არაერთია ისეთი, ამ დახმარების გარეშეც რომ შეუძლია პრობლემების მოგვარება. ხშირია შემთხვევები, როცა იგი არადანიშნულებისამებრ გამოიყენება მიმღებს.

სანამ გაირკვევა, შტემპია დახმარების გაცემის მიზეზი თუ დროზე ადრე ამოწურული თანხები, უპრიანია დადგინდეს, რომელი მუხლის დაფინანსება ჯობია თანხის მეტი ნაწილით, ერთჯერადი დახმარების თუ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების, რადგან სამწუხაროდ, ორივე მუხლის დაფინანსებას დღითიდღე კიდევ უფრო მეტი მიზნოვანი ჰყავს.



პროგრამული ბიუჯეტი კარგად რომ დაიგეგმოს

თბა ბაგუნაშვილი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ტრენინგი ადგილობრივი ფინანსისტებისთვის თვითმმართველობების ფინანსისტთა ასოციაციის ეგიდით ჩატარდა. საჯარო მოხელეებისა და ააიპების წარმომადგენელთათვის გამართულ ამ სწავლებაზე, ძირითადად, მერიის ააიპების უფროსები და ბუღალტრები გახლდნენ წარმოდგენილი. 11 წლის წინ თვითმმართველობის ფინანსისტების მიერ დაფუძნებული ეს ასოციაცია, როგორც მისი თავმჯდომარე დავით ხოსროაშვილი ამბობს, მუნიციპალიტეტების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას ისახავს მიზნად. ამასთანავე, შუამავლის როლის შესრულებას ცდილობს სახელმწიფოსა და თვითმმართველობებს შორის. დავით ხოსროაშვილი აკონკრეტებს, რომ, ძირითადად,



12 მიმართულებით ატარებენ ტრენინგებს იმ საკითხებზე, რომლებიც უფრო საინტერესო და საჭიროა ამა თუ იმ მუნიციპალიტეტისთვის, მაგალითად: სოციალური, კულტურის თუ სხვა სამსახურების ფინანსისტების ან ბუღალტრებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ

ტრენინგის მსვლელობისას ტრენერის მხრიდან დასმულ არაერთ კითხვაზე პასუხი სწორად ვერ იქნა გაცემული. გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომელიც გარკვეული ხარვეზებით სრულდებოდა მუნიციპალიტეტის სინამდვილეში. დავით ხოსროაშვილმა აღნიშნა კიდევ: “ეს-

ვამთ ისეთ კითხვებს და ვაზუსტებთ იმ საკითხებს, რომლებიც ამა თუ იმ მუნიციპალიტეტის სინამდვილიდან, ვიცით, რომ გარკვეული ლაფსუსებითა და ხარვეზებით სრულდება. საკანონმდებლო კუთხით ყოველდღიურად უამრავი ცვლილება ხდება. ამიტომ, ვფიქრობთ, ამგვარი ტრენინგები ეხმარება შესაბამისი პოზიციებზე დასაქმებულ ადამიანებს მათ გაცნობაში.”

ულდებოდა. ხშირია გავსეა იმასაც, რომ ბიუჯეტის შედგენა მხოლოდ ფინანსისტის პრეროგატივა არ არის, როგორც დავით ხოსროაშვილმა აღნიშნა: “კარგი პროგრამული ბიუჯეტის შესადგენად აუცილებელია, თვითმმართველობის წარმომადგენლები მაქსიმალურად ჩაერთონ მისი შედგენის პროცესში.” ტრენინგის დასაწყისშივე საუბარი ადგილობრივი ბიუჯეტის გამჭვირვალობასა და დამოუკიდებლობაზე იყო.

ესსპერტის ადგილობრივი ბიუჯეტების დარგში, გონა ლობჯინიძის შეხედულებით, ამ სფეროში დასაქმებულების პროფესიული ზრდა აშკარად თვალში საცემია. ტენდენციები იცვლება და ბუნებრივია, მსგავსი შეხვედრების, ტრენინგებისა და გადამზადების გარეშე ძნელია სასურველი შედეგის მიღწევა

ის, რომ ბიუჯეტი მოსახლეობისთვის და არა მხოლოდ ფინანსისტებისთვის გასაგებ ენაზე უნდა დაიწეროს, შეხვედრის დასაწყისშივე აღინიშნა. აქცენტზე ისეთ საკითხებზე გაკეთდა, რომლებიც აღნიშნა, რომ ადგილობრივ საფინანსო სტრუქტურაში გარკვეული დარღვევებითა და ლაფსუსებით სრ-

“საარჩევნო განვითარების სკოლის” ტრენინგები დასრულდა

ნონო ნანოტაშვილი

სამტრედიამში 16 ივლისიდან 27 ივლისის ჩათვლით ფუნქციონირებდა ცესკოს საარჩევნო განვითარების სკოლა. მთელი საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებდა 25 სკოლა. მათ შორის იყო სამტრედია.

არჩევნებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ 500-მდე ახალგაზრდამ მიიღო შესაბამისი განათლება. საარჩევნო განვითარების სკოლაში მათ 10 დღიანი სასწავლო კურსი გაიარეს. სამტრედიაში კი 19 სერტიფიკატი გაიცა.

საარჩევნო სისტემები, საარჩევნო ადმინისტრაცია, 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები, დემოკრატიული საარჩევნო პრინციპები, არჩევნითი ორგანიზაციის საქართველოში, არჩევნებში ჩართული მხარეები, არჩევნების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა და გენდერული თანასწორობა – ამ საკითხებს ეცნობოდნენ ახალგაზრდები სასწავლო კუ-

რის განმავლობაში.

სოფო დარჯანია, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი: “საარჩევნო განვითარების სკოლა უკვე მეოთხე წელია, რაც ფუნქციონირებს და ტრენინგების მიმართ დიდი ინტერესიდან გამომდინარე საქართველოს მასშტაბით ყოველწლიურად იზრდება სკოლების რაოდენობაც. წელს ტრენინგი პირველად ჩატარდა თბილისში. საერთო ჯამში კი სწავლება თბილისსა და 23 მუნიციპალიტეტში შედგა.”

საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სამოქალაქო ჩართულობას და არჩევნების პროულარიზაციას ახალგაზრდებში, ევროპის საბჭოს (COE) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით განხორციელდა.

სამტრედიაში ტრენინგებს უძღვებოდნენ ხონის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გიორგი გორდაძე, სამტრედიის საოლქო საარ-

ჩევნო კომისიის წევრი სოფო დარჯანია.

“სამტრედიის მაცნე” სკოლის მსმენელების შეფასებას გაეცნო:

მარიამ კვიციანი: “მალევე საინტერესო კურსი იყო. სრულად მივიღე ინფორმაცია არჩევნებთან დაკავშირებით, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით ცესკოს და საუკეთესო ტრენერებს სოფო დარჯანიას და გიორგი გორდაძეს.”

მარიამ ჯოგლიძე: “ადამიანები, რომლებთანაც მქონდა კავშირი, ძალიან მომეწონა. იყო თბილი გარემო, საოცრად კარგი ტრენერები, შევიძინე ბევრი მეგობარი. მიხაროდა ყოველი დღის გათენება, რადგან ვიცოდი, უნდა მოვუსულიყავი აქ, მეორე ოჯახში.”



საინფორმაციო უზრუნველყოფის ხელი ჩოქოს შესახებ

ნათია ნაცვლიშვილი

საქართველოს გარემოს დაცვის ექს-მინისტრი, ნინო ჩხობაძე არასამთავრობო ორგანიზაციის "საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები" თანაშემწეობის მხარეზე. ქალბატონი ნინო ჩხობაძის მუნიციპალიტეტში სტუმრობის მიზნით ახალი პროექტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება იყო. ევროკავშირის დაფინანსებული პროექტი - ევროკავშირი საქართველოსთვის მიზნად ისახავს არასამთავრობო, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერებით მათი ჩართულობის უზრუნველყოფას გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე. საკრებულოს სხდომათა დარბაზში შეკრებილ სახელმწიფო მოხელეებსა და საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებს ნინო ჩხობაძემ მიმართა: " ამ პროექტში ჩვენთან ერთად არიან "თაობათა დიალოგი" (ნუგზარ კობრიძე), "სითი ინსტიტუტი", ასევე ორგანიზაცია " სახალხო დამცველი", რომელსაც სათავეში უდგას აქტიური ქალბატონი, საზოგადოებრივი მათაველის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოად-



გილე, ირინა ფუტყარაძე, სწორედ ის ჩაატარებს პროექტის ფარგლებში ტრ-
ით, რა რისკები არსებობს, შევეცდებით, თქვენთან ერთად 2 წლის განმავლობაში ბოლომდე გავა-
ართო ეს კანონი და მისი ყველა მოთხოვნა. როცა დაიწყება ეს პროექტი, მოსახლეობის ხმის აძლიერება მთავარ მიზანს წარმოადგენს. ვიდრე ბოლოს ხშირად, პროექტის განხორციელება რომ იწყება, მოსახლეობა ითხოვს მე რას მივიღებ? და საკითხი არ დაისმის ასე? მე რა ზიანი მომადგება?" ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს გთხოვთ მხარდაჭერას, გარკვეული დასვენების

ენინგებს სამტრედიის მედიის წარმომადგენლებისათვის. ეს პროექტი 4 რეგიონში მიმდინარეობს, მას რამდენიმე სამინისტრო უწევს ზედამხედველობას, პროექტის მთავარი მიზანია, სამოქალაქო სექტორის და მოსახლეობის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, 2017 წელს მიიღეს და 2018 წელს ამოქმედდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, ნებისმიერი საქმიანობის დაწყებამდე ირდება გარემოსდაცვითი ნებართვა, ეს ეხება ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტს, იქნება ეს წყალგაყვანილობა, კიდროელექტროსადგურის მშენებლობა თუ სხვა. ვალდებული ვართ, მოვამზადოთ გარემოზე ზემოქმედების ანგარიში და კარგად შევისწავლ-

ელობის წარმომადგენლებს გთხოვთ მხარდაჭერას, გარკვეული დასვენების



ამანათები სოციალურად დაუცველთათვის

27 ივლისს "საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების" სამტრედიის ფილიალის ინიციატივით და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა მორიგი სოციალური აქცია. განსაკუთრებით შეჭირვებულ ოჯახებს გადაეცათ მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით შექმნილი სასურსათო ამანათები. აქციაში მონაწილეობდნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, მერის მოადგილე დავით ბახტაძე, სწავს სამტრედიის ფილიალის თანამშრომლები. ამ ეტაპზე დაზარალებულნი არიან ბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში ტარიელ ჭოლაძის და ვახტანგ ჩიქოვანის, ხოლო დიდ ჯიხაშიში ციალა შარაშენიძის, კაკო რუხაძისა და მერი ვაშაყვიძის ოჯახებს. ბატონი ვალერი ახსენებდა ბენეფიციარებს, დაათვალიერა მათი საცხოვრებელი გარემო და მოისმინა მათი პრობლემების შესახებ. სწავს სამტრედიის ფილიალი დიდ მადლობას უხდის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს თანამშრომლობისა და თანადაფინანსების. ასეთი აქციები რეგულარულად ჩატარდება და შესაძლებლობის ფარგლებში შევეცდებით დავემართო შეჭირვებულ ადამიანებს.



"სამტრედიის მაგნი"

ამერიკაში მცხოვრები სამტრედიელი ემიგრანტების ქველმოქმედება

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის დასახლებულთა კომიტეტის 168 ნომერში 40 წლის პატა ბუაძე, მუელესთან, 32 წლის ბელა ბოლქვაძესთან, 5 მცირეწლოვან შვილთან და დედასთან ერთად ცხოვრობს. უბინაო ოჯახი ადრე ჩეხოვის სამ ნომერში ითევდა დამეს, ავარიული სიტუაციის გამო იქ ცხოვრება შეუძლებელი იყო. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა სოციალურად დაუცველ ბუაძეების ოჯახს 2 წლის წინ რაიაბრეშუმის ყოფილ შენობაში დროებითი საცხოვრებელი ფართი გამოუყო. ქეთევანი, თათია, ლიზი, გიო და ანდრია - ყველაზე დიდი 13 წლისაა, პატარა ორის. არასრულწლოვნებს უფროსებთან ერთად ორ ოთახში უკიდურესად გაჭირვებულ სიტუაციაში უხდება ცხოვრება. ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი 500 ლარის ფარგლებში სოციალური დახმარება და დედის პენსიაა, რაც მრავალშვილიანი ოჯახის ყოველდღიურ მოთხოვნებს ელემენტარულად ვერ უზრუნველყოფს. ახალგაზრდა დედის ყოველი დღის გათენება აწინებს. ბელას მუელეს ინვალიდი ჰყავს. სა-

მხედრო ძალების ვეტერანს ჯანმრთელობის კრიტიკული პრობლემები აქვს. ამ ოჯახის ყველა წევრი სახელოსნოშია. კეთილი ადამიანების წყალობით ბუაძეების ცხოვრებაც ნაწილობრივ შეიცვალა. გამომდინარე ადამიანები, რომლებმაც გაჭირვება თავის დროზე საკუთარ თავზე გამოსცადეს და ოკეანის მეორე მხარეს ემიგრაციაში სწორედ თავიანთი ოჯახების გადასარჩენად სამუშაოდ გაემგზავრნენ. ამერიკაში მცხოვრები სამტრედიელი ემიგრანტები დღეს განსაკუთრებით მყოფ თავიანთ თანამემამულეებზე ფიქრობენ. მათი მიზანია იქ შეგროვებული თანხით წელიწადში ორ ოჯახს სიხარული მიანიჭონ და ყოფა-ცხოვრება ცოტათი მაინც შეუმსუბუქონ. რამდენიმე დღის წინ ბუაძეებთან ამერიკაში მცხოვრები სამტრედიელი ემიგრანტების ოჯახის წევრებმა ის ნივთები მიიტანეს, რაც სოციალურად დაუცველ ოჯახს ყველაზე მეტად სჭირდება. სამუშაო იარაღები და საოჯახო ტექნიკა, პროდუქტი და ტკბილეული, ბავშვებისთვის გასაბერი აუზი და სათამაშოები. ყუბანიში მყოფების ოჯახში ამერიკაში მცხოვრები სამტრედიელი ემიგრანტების ხელით ორი კეთილი საქმე გაკეთდა. რესპუბლიკის 122 ნომერში მდებარე პატარა სახლში 8 სული ცხოვრობს. შავ-



საინიციატივო ჯგუფი და დაგეგმეს, ყოველწლიურად დაეხმარონ მრავალშვილიან, შეჭირვებულ ოჯახებს საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ეს ადამიანები არიან: მარინა სულაბერიძე 500 დოლარი, კობა ჯულაიძე 500 დოლარი, მადონა გოგიშვილი 500 დოლარი, ალექსანდრა ფლენტი 300 დოლარი, ქეთევან ფლენტი 300 დოლარი. ისინი მდიდრები არ არიან, თავიანთ ოჯახებს მოშორებულები შრომობენ და ნაშრომის ერის მომავალს უწილადებენ. ამჯერად სოციალურ სამსახურს დაუკავშირდნენ და მათი რეკომენდაციით შეარჩიეს ორი სოციალურად დაუცველი ოჯახი. დოლარი, კობა ჯულაიძე 500 დოლარი, მადონა გოგიშვილი 500 დოლარი, ალექსანდრა ფლენტი 300 დოლარი, ქეთევან ფლენტი 300 დოლარი. ისინი მდიდრები არ არიან, თავიანთ ოჯახებს მოშორებულები შრომობენ და ნაშრომის ერის მომავალს უწილადებენ. ამჯერად სოციალურ სამსახურს დაუკავშირდნენ და მათი რეკომენდაციით შეარჩიეს ორი სოციალურად დაუცველი ოჯახი.

ლე და თვა ყუბანიში მყოფებს 6 შვილთან ერთად დღემდე არასათანადო პირობებში უწევდათ ცხოვრება. დაზიანებული სახურავის გამო სახლში ისე წვიმდა, როგორც გარეთ. რადგან სოციალურად დაუცველ ოჯახს ჰქონდა უფრო სტიქია, ვიდრე სხვა რამ, სამტრედიელმა ემიგრანტებმა ამ ოჯახისთვის სახურავი შეიძინეს და სამუშაოები დაფინანსეს. ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა სამტრედიელმა ემიგრანტებმა არც თუ ისე დიდი ხნის წინ შექმნეს

სუსხლოვანი ფლაშენკო ხენარო აჩუგუაგასი

ქეთევან ჭიჭინაძე

ხენარო არტეაგასი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ საინფორმაციო საშუალებების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. ჩვენს ქვეყანას ესპანელი მოცეკვავე ამჯერად საქმიანი ვიზიტით ესტუმრა. ფლაშენკოთი ფაქტობრივად მასტერ-კლასები ჩატარდა. მათ შორის ანსამბლ "ფანტაზიის" ხელმძღვანელი ქრისტინე ზაქარაძე იყო.

“ტელევიზიით გავიგე, რომ ბატონი ხენარო ქუთაისშიც ჩამოვიდოდა. მოუთმენლად ველოდი ამ დღეს. ბუნებრივად მაძიებელი ადამიანი ვარ, საინფორმაციო ვიდეოების ვეცნობი. მსგავს მასტერ-კლასებს სამეჯლისო ცეკვების კუთხით ხშირად გავდივარ. ინტერნეტში ვიპოვე ესა თუ ის ცეკვა და კობირება გავაკეთო, არ არის ჩემი სტილი. არ მრცხვენია ვთქვა, არ ვიცი და მასწავლეთ.” – ამბობს ქრისტინე ზაქარაძე.

სამეჯლისო ცეკვების წარმატებული ქორეოგრაფი პროფესიონალითაა ეროვნული საბჭოს წევრი მალე გახდება, საბჭოს სათაო ოფისი ინგლისში აქვს. მისმა მოსწავლეებმა იენისში წარმატებით ჩააბარეს შუალედური გამოცდები ბრინჯაოს კატეგორიაში და სამეჯლისო ცეკვების ჩემპიონატშიც იასპარეხეს. სრულ ბრინჯაოს კი ისინი ოქტომბერში, გამოცდების შემდეგ დაუფლებიან. ფედერაცია მათ წიგნაკებს გადასცემს და საშუალება ეძლევათ, ქორეოგრაფია მერად სპეციალობად გაიხადონ.

ფლაშენკოთი დიდი ხანია დაინტერესებულია ქრისტინე. ეს ცეცხლოვანი ესპანური ცეკვა, რომელიც ინდური, ესპანური და არაბული ფოლკლორით არის ნასაზრდოები, მთელ მსოფლიოში პოპულარობით სა-



რგებლობს. ცეკვა, რომელიც ადამიანის სულიერ, გულწრფელ მდგომარეობას გამოხატავს და თავისი იმპროვიზაციითა და პლასტიკით გაჯაღობს.

სწორედ ფლაშენკოს სიყვარულმა გადაწყვეტინა ქორეოგრაფს, თავის მეგობართან, თამარ კურდღელიასთან, ინდური კლასიკური ცეკვის, კათხაის ქართველ შემსრულებელთან ერთად ამ ორი ცეკვის სინთეზით კომპოზიცია გაეკეთებინა. განსხვავებული რელიგიის, ხასიათის, ტრადიციების, მაგრამ ერთნაირი ბედის მქონე ქალების ცხოვრება ეჩვენებინა. შემლო კიდევ და მამინ მოწონებაც დაიმსახურა. თუმცა, ეს არ იყო კლასიკური ფლაშენკო. ხენარო არტეაგასთან მასტ-

ერ-კლასის გავლის შემდეგ შესაძლებლობა მიეცა მას, კიდევ უფრო გაართულოს და სრულყოფილი გახადოს თავისი ჩანაფიქრი. ესპანელი მოცეკვავე საქართველოში პირველად შარშან ტურისტული მიზნით ჩამოვიდა. მოიხიბლა ქართული ცეკვით, სიმღერით, სტუმართმოყვარეობით და საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა, ისე გულდასმებულად მიყვარებოდა, თქვა. სწორედ მამინ გაიცნო იგი რუსთავის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლის სოლისტმა ლაშა მძინარაშვილმა. მათ ერთობლივად დადგეს კიდევ ცეკვა და

ვიწრო წრეში აჩვენეს. წელს კი მასტერ-კლასების ჩასატარებლად მოიწვია იგი. ხენარო არტეაგა ფლაშენკოს 18 წლის ასაკიდან ცეკვავს, რომელიც მადრიდში, “ფლაშენკოს” ცენტრში, რომელსაც “ღვთიური სიყვარული” ჰქვია, შეისწავლა. 1998 წელს მას წლის საუკეთესო მოცეკვავეს წოდება მიენიჭა. 2000 წელს კანარის კუნძულ ტენერიფეზე კარნავალის გალა კონცერტის ქორეოგრაფი გახლდათ. 2002 წელს, როგორც ოფიციალური ქორეოგრაფი ხელმძღვანელობდა ლას-პალმასე ჩატარებულ კარნავალს. 45 წლის ასაკში ტენერიფეზე გახსნა თავისი სახელობის ფლაშენკოს სკოლა-აკადემია, რომელიც დღემდე არსებობს და სადაც



ფლაშენკოს და სხვა ესპანურ ცეკვებს ასწავლის დაინტერესებულთ. ქორეოგრაფი, აგრეთვე, ატარებს მასტერ-კლასებს სხვადასხვა სკოლასა და აკადემიაში.

როგორც ჩვენთან საუბარში ლაშა მძინარაშვილმა აღნიშნა, ბატონმა ხენარომ მასტერ-კლასები თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში ჩაატარა. დაინტერესება დიდი იყო, ამ ცეკვის დაუფლების მსურველი ბევრი აღმოჩნდა. “რასაც ვერ ვიტყვით ქუთაისზე. სამწუხაროდ, მოცეკვავეებით სავსე ამ ქალაქში რამდენიმე ადამიანი აღმოჩნდა, მასტერ-კლასი გაეგლო. გადაწყვიტა ფლაშენკოს აკადემია გავხსნათ თბილისსა და ბათუმში, ენახოთ, შესაძლებელი იქნება თუ არა ეს იმერეთში. ბატონი ხენარო მოხიბლულია ქართული ცეკვით, კულტურით. მომავალში ქართული და ესპანური ცეკვების ერთობლივ პროექტსაც წარმოვადგენთ. ძალიან უყვარს საქართველო, როცა გვეშეშობოდა, ცრემლიც კი ვერ შეფავა.” – გვითხრა მან.

“უხერხული და გულდასაწყვეტი იყო, მართლაც, ქუთაისელების პასიურობა. სულ ოთხი ადამიანი ვესწრებოდი სწავლებას და აქედან ორი სამტრედიიდან ვიყავით. ასევე იყო თბილისელი გოგონა, რომელიც მოცეკვავე არ არის, მაგრამ ყველა მუნიციპალიტეტში დაჰყვებოდა ბატონ ხენაროს მისი მასტერ-კლასი რომ გაეგლო. თვითონ ბატონი ხენარო ნამდვილი პროფესიონალი და არაჩ-



ნარომ მასტერ-კლასები თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში ჩაატარა. დაინტერესება დიდი იყო, ამ ცეკვის დაუფლების მსურველი ბევრი აღმოჩნდა. “რასაც ვერ ვიტყვით ქუთაისზე. სამწუხაროდ, მოცეკვავეებით სავსე ამ ქალაქში რამდენიმე ადამიანი აღმოჩნდა, მასტერ-კლასი გაეგლო. გადაწყვიტა ფლაშენკოს აკადემია გავხსნათ თბილისსა და ბათუმში, ენახოთ, შესაძლებელი იქნება თუ არა ეს იმერეთში. ბატონი ხენარო მოხიბლულია ქართული ცეკვით, კულტურით. მომავალში ქართული და ესპანური ცეკვების ერთობლივ პროექტსაც წარმოვადგენთ. ძალიან უყვარს საქართველო, როცა გვეშეშობოდა, ცრემლიც კი ვერ შეფავა.” – გვითხრა მან.

“უხერხული და გულდასაწყვეტი იყო, მართლაც, ქუთაისელების პასიურობა. სულ ოთხი ადამიანი ვესწრებოდი სწავლებას და აქედან ორი სამტრედიიდან ვიყავით. ასევე იყო თბილისელი გოგონა, რომელიც მოცეკვავე არ არის, მაგრამ ყველა მუნიციპალიტეტში დაჰყვებოდა ბატონ ხენაროს მისი მასტერ-კლასი რომ გაეგლო. თვითონ ბატონი ხენარო ნამდვილი პროფესიონალი და არაჩ-

ნარომ მასტერ-კლასები თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში ჩაატარა. დაინტერესება დიდი იყო, ამ ცეკვის დაუფლების მსურველი ბევრი აღმოჩნდა. “რასაც ვერ ვიტყვით ქუთაისზე. სამწუხაროდ, მოცეკვავეებით სავსე ამ ქალაქში რამდენიმე ადამიანი აღმოჩნდა, მასტერ-კლასი გაეგლო. გადაწყვიტა ფლაშენკოს აკადემია გავხსნათ თბილისსა და ბათუმში, ენახოთ, შესაძლებელი იქნება თუ არა ეს იმერეთში. ბატონი ხენარო მოხიბლულია ქართული ცეკვით, კულტურით. მომავალში ქართული და ესპანური ცეკვების ერთობლივ პროექტსაც წარმოვადგენთ. ძალიან უყვარს საქართველო, როცა გვეშეშობოდა, ცრემლიც კი ვერ შეფავა.” – გვითხრა მან.

ნარომ მასტერ-კლასები თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში ჩაატარა. დაინტერესება დიდი იყო, ამ ცეკვის დაუფლების მსურველი ბევრი აღმოჩნდა. “რასაც ვერ ვიტყვით ქუთაისზე. სამწუხაროდ, მოცეკვავეებით სავსე ამ ქალაქში რამდენიმე ადამიანი აღმოჩნდა, მასტერ-კლასი გაეგლო. გადაწყვიტა ფლაშენკოს აკადემია გავხსნათ თბილისსა და ბათუმში, ენახოთ, შესაძლებელი იქნება თუ არა ეს იმერეთში. ბატონი ხენარო მოხიბლულია ქართული ცეკვით, კულტურით. მომავალში ქართული და ესპანური ცეკვების ერთობლივ პროექტსაც წარმოვადგენთ. ძალიან უყვარს საქართველო, როცა გვეშეშობოდა, ცრემლიც კი ვერ შეფავა.” – გვითხრა მან.

ფლაშენკო განსხვავებული ფანარია. სამეჯლისო ცეკვების ლათინურ პროგრამაში ერთ-ერთი არის პასადობლე. ეს იგივე ფლაშენკოს განშტოებაა, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო რთულია. თუნდაც, კასტანეტებით ცეკვა, ან კიდევ ფეხის მოძრაობით. ფეხით ქმნი იმ მელოდიას, რაზეც ცეკვა. ფლაშენკო ისეთი რითმიანია, ზოგჯერ ვერ ვეწვოდი კიდევ რეპეტიციის დროს. სამეჯლისო ცეკვები უფრო სხვა ტექნიკას მოითხოვს. დამშვიდობებისას ცრემლი არ დამანახოთ, კიდევ შეგზვდებითო, მითხრა და ფლაშენკოს მოცეკვავის პატარა სტატუეტი მისასწოვრა.” – გვითხრა ქრისტინე.

ესპანელი ქორეოგრაფი საქართველოს შემოღობაზე ისევე ეწვევა, რეჟისორ ნიკოლოზ ხომასურიდის ახალ ფილმში მონაწილეობის მისაღებად. ქრისტინე ზაქარაძეს კი დიდი სურვილი აქვს, ხენარო არტეაგა სამტრედიისში ჩამოიყვანოს და ნები-სმიერ მსურველს საშუალება მისცეს, ფლაშენკოს მასტერ-კლასი გაი-აროს.



ოვასიანი სანგრაჟი ტაშით

თავი პავსუნაშვილი

წარმატებით მდიდარი სასწავლო წლის დასრულება აკადემიური საანგარიშო კონცერტით აღნიშნა სამტრედიის დომენტი შანიძის სახელობის №1-მა სახელოვნებო სკოლამ. კლასიკოსებთან, დებოუსთან, ვივალდთან, მოცარტთან, ბისკარდთან, შოპენთან, ფალკოსთან, შუბერ-

ის, ვალერი შანიძის, ქეთი ლეჟავას, მაყვალა სანიჭიძის, თამარ შურდაიას, ლეილა ახალკაცის მოსწავლეები ამ სკოლის აღსაზრდელოათვის დამახასიათებელი პროფესიონალიზმით ასრულებდნენ მათთვის შერჩეულ პროგრამას. საკონცერტო სადამოს განსაკუთრებულ მუხტს სძენდა რამაზ კუბლაშვილის, ნონა ჭახნაყიასა და მერი ტკეციციას აღს-



ოლის პადაგოგები: ინგა ბეჟაია, ნათია ვარდანიძე და ელისო ბარათელი გახლდნენ.

სამუსიკო სკოლის პატარა დარბაზი გემოვნებიან სადამოებს მიჩვეული მუსიკის მოყვარულებს ჩვეულ ამბლუაში მასპინძლობდა. გარდა პედაგოგებისა და მშობლებისა, კლასიკური მუსიკის არაერთ მოყვარულს შენიშნავდით დარბაზში, მუსიკისგან მიღებული საიმპონებისთვის კონცერტზე მისულს. სტუმრად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ჰყავდა სამუსიკო სკოლას.

ისინი და არა მხოლოდ ისინი, როგორც სხვა დროს არაერთგზის, ამჯერადაც აღნიშნავდნენ, რომ ეს გახლავთ კულტურული დაწესებულება, სადაც გამართული ყველა საღამო, ხელოვნებით ტკობის საუკეთესო საშუალებაა. დამსახურებული ოვაციები, ხანგრძლივი ტაში და აღტაცება შეფასებებში არაერთგზის მოუსმენია ამ დარბაზს. ასე გახლდათ



ამჯერადაც. სანამ მომავალი სასწავლო წელი ახალ წარმატებებს მოიტანს, სულ ახლახანს დასრულებული სასწავლო წლის მიღწევებზე საუბარი გაუგრძელდა სკოლის დირექტორს, ირმა შანიძეს. გაგურძელდა იმიტომ, რომ სალაპარაკო ბევრი ჰქონდა. მელიტონ ბალანჩივაძის სახე-

ობის ახალგაზრდა შემსრულებელთა ეროვნული კონკურსი, თაქთაქი-შვილის სახელობის საერთაშორისო კონკურსი “რონდო კლასიკა”, ბახის სახელობის მუსიკის მე-9 ეროვნული კონკურსი ვალერიან შიუკაშვილის ხელმძღვანელობით, ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის მეთერთმეტე რესპუბლიკური ფესტივალი, დასავლეთ საქართველოს მესამე რეგიონალური ფესტივალი ვალერიან შიუკაშვილის ხელმძღვანელობით, საცამწვილო ფესტივალი “დელფიდა 2018”, თენგიზ ამირეჯიბის სახელობის ახალგაზრდა მუსიკოსთა მესამე ეროვნული კონკურსი, მერი დავითაშვილის სახელობის საბავშვო და მოზარდთა მუსიკის 27-ე კვირეული, კონკურსი “იმერეთის ხმა” – ეს ის კონკურსები და ფესტივალები გახლავთ, ამ სახელოვნებო სკოლის აღსაზრდელებმა საპრიზო ადგილები და საპატიო დიპლომები რომ დაიმსახურეს.

მორიგი წარმატებული სასწავლო წელი ოვაციებით მდიდარი მუსიკალური სანახაობით დაასრულა პირველმა სახელოვნებო სკოლამ. მომავალი წლები რომ კიდევ უფრო დიდ და შთამბეჭდავ მიღწევებს მოუტანთ, ამაზე საუბარი არც ღირს, რადგან არაერთი წელია, ეს კეთილი სურვილი ამ სასწავლებლის რეალობაა.



ტთან ერთად ქართველი კომპოზიტორების, ფირცხალაძის, ცინცაძის, მერაბიშვილის, მილორაგას, გაბუნაას, გაბიჩვაძის, აზარაშვილის ნაწარმოებები ჟღერდა. სოფო ახოზაძის, ნათია ვარდანიძის, ინგა შანიძ-

აზრდელების ვოკალური ნიმუშები. საგუნდო, საოპერო, საესტრადო ნიმუშებსა და ფოლკლორის ნიმუშებს, სკოლის აღსაზრდელების შესრულებით, მსმენელის ოვაცია არ აკლდა. კონცერტმეისტრები ამავე სკ-

პარბი სტროფივით რამდენჯერმე გადამიკითხა

ნათია ნახვასიანი

და ჩემში შენი არსებობა ლექსად გავსდის. – ეს სამტრედიის ბექა ფიცხვარიას, ლექსად გამწვანებული მისეული სათქმელი. მერე რა, თუ მხარულ ფერებს მის შემოქმედებაში სვედიანი ტონები და ვანცდები სჭარბობს, ტკივილი ხომ უფრო მეტ ემოციას ბადებს, ვიდრე დამწვინებელი და აუფორიატებელი სული! ხანდახან ეს “სულის დამძიმება” ახალგაზრდული მაქსიმალიზმითაა აიხსნება, საკუთარ თავთან მოგახყე ახალგაზრდა ძიების პროცესშია, ქართული ლექსის კორიფეების ფასდაუდებელ მარგალიტებს ეცნობა, არაერთხელ შემოაღებს რედაქციის კარს და ამა თუ იმ უცნობი პოეტის სულისშემძვრულ სტრიქონებს გვაცნობს. ვიდრე ღირებულებებს გადააფასებს, ვერ უამრავი გზაწერილი და ბილივი აქვს გასაფლავი!

ბექა სტუდენტი გახდა. წარმატებული ახალგაზრდის სამოქმედო არეალი თანდათან გაიზარდა და ლექსებსაც დაეცყო დაღვინება. – შეყვარებული ბიჭის გულწრფელ ემოციას, სამშობლოს ტკივილამდე განცდას, დაცლილ-გავერანებული ქართული სოფლის სატკივარის გულში ხანჯლად გავლას – მრავალგვარ ემოციას იტყვის მისი პოეზია. ვინც ბექას იცნობს, დამეთანხმება, რომ მისი ლექსებიც ავტორივით გულწრფელია. ჩვენი გაზეთი ნიჭიერი ახალგაზრდების საინტერესო ნაბიჯებს კვალდაკვალ მიჰყვება, ამდენად, გასაკვირიც არ არის, რომ ბექას ორივე წიგნის რედაქტორი ჩვენი გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავაა.

“უთქმელად მსურდა ყველაფერი რომ გეგონო, თორემ სხვებზე გეტყვიან ასევე ნათქვამ სიტყვას: “მიყვარხარ!” “შენი ღიმილი ისე მავსებს,

ჯმა თუ ჩატმა ჩაანაცვლა, მაგრამ სასიყვარულო ლირიკას, ტექნოლოგიუ-



რი აფეთქების ფონზეც რომ ვერაფერი ჩრდილავს, ამას ბექას ამ სტრიქონების ფეისბუქსივრცეში გაზიარებაც მოწმობს! – “მე აქ ვისწავლე, რანაირად უნდა ისუნთქო ღმერთი და გწამდეს წვიმის მერე გამოდარების!” “ჩვენ ასე ვშრომობთ და არ ვიმწნევთ დაკოორილ ხელებს და ეს წვალება დასრულდება ალბათ აროდეს” – ეს სოფლური ყოფისადმი მიძღვნილი სტრიქონებია. სწორედ ბუხრის კერიდან ასული სიტობა, მის სულს ყველაფრის ქართულის სიყვარულს და მოვლას რომ ასწავლის: “როცა ვენიდან სისხლის ნაცვლად სამშობლო მოგდის, ყველაფერს დაცვა, გაფრთხილება, შენახვა უნდა” და დასასრულ, “სალაპარაკოდ კი არა”, როგორც ბრწყინვალე ქართველი პოეტესა იტყოდა, ისე, უბრალოდ, ბექას ერთ ლამაზ სტროფს დაეტივით: “გავარდა სოფლად უთქმელი ჭორი, გაიპარენი, ტიროდა დედა. სიბრაზესა და სიხარულს შორის შეიღის გახსნილი წერილი ელო. ბიჭი უწინ, ზღვასავით მშვიდი, გოგო – დილას რომ გაამზინებს, და გზა, რომელიც ტაძრისკენ მიდის, ახალ სიყვარულს აერთიანებს”.



როგორც ოციანს მოხუცი ბაბუს დაწერილი ალადასტური”. “ვერ შეგპირდები ლექსზე მეტს და ლექსზე უკეთესს” – ამ სიტყვების ადრესატად არაერთ ბიჭს შეუძლია მისი მოსაწონი გოგო აქციოს. ჩვენს ეპოქაში ეპისტოლარული ჟანრი სატელეფონო მეს-

პოეზია

მონატრება

მოვიანატრე, სარკე ვიყო, თვალთა შენთა ლურჯი ფერი, მესტუმრება, მით შევიპყრო, ბრალი დავლო – რას მიცქერი. გამექცევა, ისევ მოვა, დაკვირვებით მტყფის რამეს, ჩემი ნღობა მოიპოვა, ჩემი გულის კარს შეადებს, რომ აქ თითქოს არაფერი, პაპარად შემომხედავს, რომ სურვილის განახლებით მიშვრეს, ჩემთან ყოფნას ბედავს, მერე როგორც თვით მაჯნური და ხალისის მატანე, სამყაროსგან გამიჯნული ჩემს სურვილად იწვის მოვარე. აი, აქ კი დაფიქრება, სითამამე თითქოს აწყენს. სურვილების ძაფი წვდება გული განცდით რომ დამარცხდეს. ასე, ნატრის, სტუმარივით ივლის-ივლის გამუდმებით, სახე დაუნუნარივით, ანდა სულაც დამუნჯებით. რა თქმა უნდა, ვერ დაუმლი, საყვედურსაც ვეტყვი ვერას, გულს კი ფრთხილად გადაუშლი, ჩემი სულის ბედისწერას.

შთაშოგავლოვა

არ ვარ პირველი, გზა საკვირველი რომ გაიარა უპირველესად, გული გვიმდერის, სული კი კენხის, გზად მღველვარებას იფენებს თესლად. და რომ გულში მაქვს ყოველი გრძობა და გული მაინც ობლად ღიღინებს. მზე ღრუბლებს შორის ხომ შეიცნობა და მით ბალახიც ღაღად ბიბინებს! და რომ მოველი ნათელ ნათებას,

და რომ ნუგეში არის წარსული, რომ მომავალი მონათლება' და არ ექნება ფიქრს დასასრული. ჩემი მზერა და შენი თვალები ჩემი მზერა და შენი თვალები ჩვენ ხომ ერთმანეთს დაეკავშირეთ, რომ დაგვეჩანა გულის კარები როგორ იღება და არ გვაშინებს. რომ ჩემს ფიქრებში დიდებ ბინა და ახლა ჩემს გულს ანადგვლიანებ, თვალებმა გული გადაიბირა, რასაც ვით მარცხი ვერ ვაღიარებ. ჩემი მზერა და შენი თვალები... ვის შეუძლია ახსნას ეს გრძობა?! როგორც სურვილის ბაირაღები და სიხარულის ტრფობის თანხმობა.

ოღეს ცაცხლად ინთიპი

გუძღვნი კომპოზიტორს, ჩვენს საამავეს, მზია ჯგჯველიშვილს

ბუნდური წუთები... ეს ხომ განცდის ბრალია, სული დანაშაულები, დარდიც გარდუკალია, მაგრამ რაც გენატრება, ხალისს დანაშვიდრები, გულს სიმშვიდე აკლდება, ოღეს ცაცხლად ინთიპი. და არაფერს დამეძე, განცდა არის პირველი, სულს ანთებულს აღმერთებ, რომ ღმერთს ვერ დასცილდები. თითქოს ერთი სათქმელი, მუდამ გაეწყვდებოდა, თუმც სიხარულს არეყვებო, სულში რაც ინთიპობა, გზა გახსოვდა, გზა ისევ, გასაუფლო ხანძარი, სიმშვიდეს ვინ გაღირსებს, გზები დასადაფნარი.

“წიგნთან ურთიერთობა ადამიანს მეგობრულ, თავმდაბალ, თანაგრძნობის უნარის მქონე პიროვნებად აყალიბებს”


ნათია ნაცვანიძე

მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში მუშაობენ ადამიანები, რომელთაც მხოლოდ მათი თანამდებობრივი ამპლიტუდით ვიცნობთ. ჩვენს რუბრიკას “ვისაც ლიტერატურა უყვართ” არაერთი ჩინოსნის ოთახში შეუხვედრავს და საინტერესო რესპონდენტები უპოვნია. ახალგაზრდა, ნიჭიერი და ამასთანავე მომზიდვით დატყუარებული დიდიძიანი საღამომდე რიცხვების და ციფრების ლაბირინთებს წარმატებულად უშვლავდებდა, უურნალო-სტურმა ინტუიციამ გვიკარნახა, ის ამ რუბრიკაშიც მოგვეწვია. ტექნიკური ბევრ-რუნდის ქალბატონი ძალიან ახლოს აღმოჩნდა წიგნებითან და ლიტერატურასთან, ასე რომ, სხვა ამპლიტუდით ვიცანი კვა გავუა.

ოქროს მედალიზე დაამთავრა სსიპ სამტრედიის რაიონის აკაკი შანიძის სახელობის სოფელი სკოლის საჯარო სკოლა. უმაღლესი განათლება მიიღო აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ფინანსისტის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, იყო სტიპენდიანტი, ამავე უნივერსიტეტში სწავლა განაგრძო მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად და მიმდინარე წელს, მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ფიქრობს დოქტორანტურაზე სწავლის გაგრძელებას. ამჟამად მუშაობს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დეპარტამენტის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტად საკუთარი შემოსავლების აღრიცხვისა და შესრულების უკუშვლის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტად. ადინიშნულ პოზიციაზე, კონკურსის შედეგად, დაინიშნა 2015 წლის ივლისიდან. მანამდე, 2015 წლის აპრილიდან ადინიშნულ სამსახურში იმყოფებოდა სტაჟირებაზე პრემიერ-მინისტრის პროგრამაში “სტაჟირება საჯარო სამსახურში” გამარჯვების შედეგად, რომელიც ითვალისწინებდა უნივერსიტეტის მაღალ აკადემიურ მოსწრებას.

– დაეთანხმებით, წიგნი კომპიუტერმა გარკვეულწილად დაჩრდილა, თუმცა ჩემთვის ნამდვილად არა. წიგნთან ურთიერთობა ჩემთვის ეს არის სულ სხვა სამყარო, სხვა შეგრძობები, წარმოსახვები და პარალელური აზროვნება სიუჟეტის შემდგომი განვითარების შესახებ.



– საყვარელი მწერლები ჩამოვკითვალეთ, როგორც უცხოელები, ისე ქართველები.

– საყვარელი მწერლებიდან გამოვარჩევედი ვალენტინ ტახტის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, ნოდარ დუმბაძის, ნიკო გომელაურის, ლევ ტოლსტოის, ბალზაკს.

– პოეზია რამდენად ახლოა თქვენს შინაგან სამყაროსთან? ვინ არის საყვარელი პოეტი?

– ვფიქრობ, ლიტერატურა, განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურა, პოეზიის გარეშე წარმოუდგენელია. პოეზია ჩემ შინაგან სამყაროსთან ნამდვილად ახლოს არის, ის გავს მუსიკას და არის ემოციების გადმოცემის სიკვანძი, საყუთარი “მე” გულწრფელი გამოვლინება.

ინება. საყვარელი პოეტი გახლავთ ვალენტინ ტახტი. მისი გენიალური შემოქმედებიდან მიყვარს “მერი”, “მთაწმინდის მოვარე”, “სილაგვარდე, ანუ ვარდი სილაში”, განსაკუთრებით კი “ლურჯა ცხენები”.

– დღეს ტექნოლოგიების ეპოქაში მატერიალურმა განვითარებამ ადამიანიც გაუხვდია, ცოტას თუ ნახავთ ადამიანს, ვინც წაითხული წიგნის შინაარსს გაუხედავებს თავის მეგობარს, თქვენ როგორ მიგაჩნიათ, ადამიანები რომ წიგნთან უფრო მეგობრობდნენ, იქნებოდა თუ არა უფრო კაცთმოყვარენი და მიმტყვებლენი?

– უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში კურსელები ხშირად ვუცვლიდით ხოლმე ერთმანეთს წიგნებს და ვუზიარებდით შეგრძობებს, ზოგჯერ ვაკამთობდით კიდევ. ეს ნამდვილად იყო მყარი მეგობრული და ემოციური კავშირის დამყარების ერთ-ერთი საფუძველი. ამდენად მიმაჩნია, რომ წიგნთან ურთიერთობა ადამიანს მეტად მეგობრულ, თავმდაბალ და თანაგრძნობის უნარის მქონე პიროვნებად აყალიბებს.

– პედაგოგის ოჯახში გაიზარდეთ, დიდი ბიბლიოთეკა გაქვთ? წიგნები გიჩუქნიათ მეგობრებისთვის?

– ნამდვილად ბედნიერი ვარ იმით, რომ არც თუ ისე მცირე ბიბლიოთეკა გვაქვს და პირადად ყოველთვის ვცდილობ, საკუთარი წვლილი შევიტანო, მეტად გავზარდო და გავამრავლო ფეროვნ არსებული ნუსხა.

– თავად გაგიჩუქებთ წიგნები?

– დახ, წიგნი გამიჩუქებია. წიგნის განუქება ჩემთვის რიტუალს გავს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ვუდგები და ვემზადები. ვითვალისწინებ მოცემული ადამიანის მიზნებს, ინტერესსა სფეროს, ჟანრს, მიდრეკილებებს და იმას, რა შედეგი შეიძლება მოუტანოს მას

ჩემმა ნაჩუქარმა წიგნმა. დახ, ჩემთვისაც უჩუქებათ წიგნები, როგორც წიგნის ავტორებს ასევე, ჩემთვის ღრმად საპატივცემულო ადამიანებს, მეგობრებს.

– საყვარელი ციტატა, რომელსაც ხშირად იმეორებთ (იქნება ეს რომელიმე პოეტის სტროფი თუ რომელიმე ცნობილი საზოგადო მოღვაწის სიტყვები).

– საყვარელი ციტატა საკმაოდ ბევრი მაქვს. მაგალითად: “სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მეტე სულსა”, “ნუ გაებებთ დოგმთა მახეებში”, “ყველაზე მნიშვნელოვანია გამოიჩინო გამოხედობა”...

– გაქვთ თუ არა წიგნი რომელიმე ცნობილი მწერლის ავტორიდან?

– დახ, მაქვს წიგნები ავტორების ხელმოწერით, მაგალითად, ზურა სალუქიძის, ლათო ტურაშვილის, გიორგი კეკელიძის, ტურაშვილისა და სალუქიძის უნივერსიტეტში შევხვდი. კეკელიძეს

– სამტრედიის, ერთ-ერთ ღონისძიებაზე. სამივე მათგანი განსხვავებული და საინტერესოა. ზურას ლექსებში სიცოცხლე იგრძნობა, გიორგის “გურული დღე”-ში “ერთი სახალისო და სასიამოვნო საუბარია. ვფიქრობ, დამო ტურაშვილი თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მწერალია, განსაკუთრებულია მისი “ჯინსების თაობა”. პირადად ბატონი ლათო უნივერსიტეტში 2013 წელს გავიცანი წიგნის “ტყეების მეფე” პრეზენტაციის დროს. რომანი აგებულია დავით აღმაშენებლის გარშემო არსებულ ლეგენდებზე, რომელიც იძლევა იმ ცნობებს რაც წმინდა ისტორიულ ნარკვევებში არ არის ასახული. დამო ტურაშვილის სურული იყო ფილმი გადაელო “ტყეების მეფეზე”. მასსოფს, როგორი სულიცვლითობით, გაბრწყინებული თვალვით საუბრობდა ფილმზე და იმდენ ვიტოვებ, რომ მწერალი ჩანათქონს ნამდვილად განახორციელებს.

– ბავშვობაში წაითხულ წიგნებს თუ მიუბრუნდებთ ხოლმე?

– როდესაც ამის დრო მაქვს, დახ, ბავშვობაში წაითხულ წიგნებს სიამოვნებით მიუბრუნდებოდა ხოლმე. ეს არის ძველ სასიამოვნო განცდებთან დაბრუნება, რომელიც სიამოვნების მონიჭება და ძველის ახლით, ახალი შეფასებებით დასახვია.

გალერეა

ამაგდაი ეაცზე მოგიყვებით

ლევან გაბუნია

ღვანული მოხილველი პიროვნება, ბატონი ეკემალ ხარეზაძე სტუმრობს ამჯერად რუბრიკას “გაღონა”.

ძნელად თუ ვინმე დაიჯერებს, რომ მწ წლისაა, საოცრად ენაწყლიანი მოსაუბრე უუსტად ისხენებს ხანგრძლივი სიტყვების მანძილზე ნახასხა და განცდილობს, გაგონილოს და გული სიამაყით ევსება იმის გამო, რომ პირნათლად მოიხადა მოქალაქეობრივი ვალი სამშობლოს წინაშე.

მართალია, ქუთაისში დაიბადა და გაზარდა, მაგრამ ბოლო წლებია, სამტრედიის, სოფელ ჩხენიშში მამა-პაპისეულ კერასე ცხოვრობს ერთგულ მეუღლესთან ერთად. უმაღლესი განათლება სემიპალატინსკიში მიიღო, ოთხი ათეული წელი იმუშავა თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, სხვადასხვა სამხედრო ნაწილის მომარაგების სამსახურში.

იფონებს იმ პერიოდს, როცა საბჭოეთი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, როცა თავდაცვის სამინისტრები გახლდნენ საბჭოთა კავშირის მარშლები ანდრეი გრეჩკო, დიმიტრი უსტინოვი.

განსაკუთრებული პატივით მოიგონა მან საბჭოთა კავშირის საინჟინრო ჯარების მარშალი არჩილ ვიქტორის ძე გელოვანი, სწორედ ბატონი არჩილი განაგებდა უზარმაზარ საბჭოეთში ჯარების მომარაგება-დაბინავებისა და რიგი ურთულესი საკითხების მოგვარებას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა, ბატონი ჯემალი უკვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში განაგრძობს მუშაობას. ამ ხნის მანძილზე ბევრ ცნობილ ადამიანთან მოუწია ურთიერთობა.

კოპიტნარი, სენაკი, ხონი... აქაური სამხედრო დასახლებების მშენებლობასა და აღჭურვა-მომარაგებაში ჩვენს სამსახურს დიდი წვლილი მიუძღვის. – გვეუბნება ბატონი ჯემალი და კიდევ ერთხელ ვრცელ-

ად საუბრობს იმ სამუშაოთა შესახებ, სამხედრო ნაწილების ინვენტარითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით შეუფერხებელი მომარაგებისათვის რომ ეწეოდნენ.

თვალის დახამხამებაში გაფრენილან წლები, მოსაგონებელი ბევრი აქვს დიდი ოჯახის წინამძღოლს. მეუღლე, ქალბატონი ვენერა ხარებავა წლების განმავლობაში ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორის მოადგილე იყო კადრების დარგში. ორი შვილი, ოთხი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი ხანდახან მუშაობის წლებს ულამაზებენ ბატონს ჯემალს, კაცს, რომელმაც უმწვევლო მუშაობისათვის არაერთი ჯილდო დაიმსახურა.

სულ ახლახან გადატანილი ავადმყოფობისა და ექიმთა მაღალი პროფესიონალიზმის შესახებაც გვესაუბრა ჩვენი რესპონდენტი.

– ვირუსი შემეყვარა, ოჯახის ექიმმა ხათუნა სტურუაძე გვიჩაია, საავადმყოფოსათვის მიგვემართა. შეიღებმა ქუთაისში, შპს “უნიქალ მედი” (მთავარი ექიმი შოთა მარუაშვილი) მიმიყვანეს. სწორი მკურნალობის წყალობით მალე გამოვკვა-



ნმრთელი და მადლობა მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით გადაეუხადო “უნიქალ მედი” მთავარ ექიმს, შოთა მარუაშვილს, მკურნალ ექიმს, ინდირა კობალიძეშვილს, ექიმ-ლაბორანტ კობრაშვილს, ექთნებს, სანიტრებს, დაცვის სამსახურის წარმომადგენლებს, რომლებიც საღებუნად ედგობდნენ ავადმყოფთა სატკივარს. – გვითხრა ბატონმა ჯემალმა.

რასაკვირველია, სასიამოვნოა, ქართველი მედიკოსები, ამ შემთხვევაში ქუთათურები, ძალ-ღონესა და ენერჯიას რომ არ იშურებენ აუადმყოფებისადმი და ჰიპოკრატეს ფიცისადმი ერთგულებით ემსახურებიან მათ. წელთა სიმრავლეს, ოჯახურ სიმშვიდესა და ბედნიერებას უუსურვებთ ხვალის, მომავლის ნათელი იმედით გულანთებულ ჩვენს რესპონდენტს

რკინიგზებში რკინიგზელთა ქალაქიდან

ლევან გაბაჩავა

მართალია, სამტრედიის დღეს სარკინიგზო კვანძი აღარაა, თუმცა, რკინიგზელთა ქალაქის სტატუსსაც "ჯიუტად" ატარებს და მკლავმოუღლე რკინიგზელებთანაც კანონიერად ამყოფს.
ერთ დღისეულ რკინიგზელზე, მის ლამაზ შრომით ბიოგრაფიაზე ვისაუბრებთ ამჯერად.

ქალაქი ოჩამჩირეთი დაიბადა 1962 წელს ბატონი გურამ გულიაშვილის ძე პაპასჭყას.
სამუშალო სკოლის დამთავრების შემდეგ, საეკონომიკური სამსახურში პირნათლად მოიხდა სამშობლოს წინაშე ვალი. შესაბამისი კვალიფიკაციის გავლის შემდეგ, სოხუმის საღვთისმეტყველო დეპარტამენტის ოჩამჩირის ფილიალის ლოგოტიპების მოსაბრუნებელ პუნქტში დაიწყო მუშაობა, იყო ზეინკალი, თბომაველის მემანქანის თანაშემწე, მემანქანე.
1993 წელს, ლეპოს მიერ წარგზავნილმა პერსპექტიულმა ახალგაზრდამ როსტოვის რკინიგზის საინჟინრო ინსტიტუტი დაამთავრა ინჟინერ-ელექტროტექნიკოსის კვალიფიკაციით, ერთხანს იქვე რუსეთში იმუშავა, რათა ოჯახი ერჩინა.

2003 წლიდან ბატონი გურამი სამტრედიის საღვთისმეტყველო დეპარტამენტის სახელგანთქცივ სწავრა, იყო ზეინკალი, ბრიგადირი, ოსტატი ელმაგლები შემოვიტოველ სააქტროში, 2015 წლიდან თბომაველის მემანქანის ჯერ თანაშემწე, შემდეგ მემანქანეა.

სამტრედიის ჩამოსვლისა და დეპოში მუშაობის დაწყებისთანავე ვერძნობდა და ვერძნობს საოცარ თბილ, ადამიანურ დამოკიდებულებას ჩემდა, კარგი კოლეგები, კარგი ხელმძღვანელობა, ყველანი პატივისცემით მეპყრობიან. ამათ ბატონი გურამი. მასაც უყვარს საკუთარი პროფესია და ის ადამიანები, რომელთა მხარდახარ წლებია საყვარელ საქმეს ემსახურება და საკუთარი წონადი წვლილი შეაქვს სამტრედიის რკინიგზელების საერთო მიღწევებში.



აუცილებელია ითქვას, რომ დეპოში აფხაზეთიდან ღვინო რამდენიმე რკინიგზელი მუშაობდა, ბევრი დამსახურებულ პენსიაზე გავიდა, ბევრიც გარდაიცვალა, თუმცა, ამჯერადაც მთელი მონდობით ირგებან და არ ღალატობენ რკინიგზელის ვაკუცურ პროფესიას აფხაზეთიდან ღვინოები, დეპოს მემანქანეები: რომან ჩხეიძე, გული სვანიძე, ამირან კვიციანი, ჯემალ ვართაგვა და სხვები.

ამ დღეებში რკინიგზელები პროფესიულ დღეს აღნიშნავენ. ვულოცავთ ბატონ გურამ პაპასჭყას, მისებრ მკლავმოუღლე რკინიგზელებს და სამომავლოდაც წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მასთან ბაღაგამ ბარდიაშვილი

92 წლის ასაკში გარდაიცვალა ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, მსოფლიოს ორგზის (ტოკიო 1954 წ. სტამბული, 1957 წ.) ჩემპიონი, ფრანგების მიერ "ჭიდაობის პროფესორად", ხოლო აშშ-ში მუშაობის დროს "ჩემპიონთა ჩემპიონად წოდებული", მრავალი საერთაშორისო ასპარეზობის პრიზიორი, თბილისისა და სამტრედიის საპატიო მოქალაქე, ბატონი ვახტანგ ბაღაგამე.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ ბატონ ვახტანგე მინიჭებული ჰქონდა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ოქროს ორდენი.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, სახელოვანი ფალავანი არაერთხელ სწევია მშობლიურ სამტრედიას, ღანიოს, რაც საერთო სახალხო ზეიმად, ნამდვილ სპორტულ დღესასწაულად გადაიქცეოდა ხოლმე.

"ქვეყანა ომის ჭრილობებს იმუშებდა, მძიმე დრო იყო, სოფლის ბიჭებთან ერთად ნაპურად მინდვრებში ვჭიდაობდით, ტანზე შემოხეული შინ რომ ვბრუნდებოდი, ოჯახის წევრებმა "ჯვალოს" უხეში ქსოვილისაგან "ფორმა" შემოყიერეს... ასე დაიწყო ჩემი სპორტული კარიერა". – ივონებდა იგი ღანიოში ერთ-ერთ შეხვედრაზე. გაზეთ "სამტრედიის მაცნე" რედაქციის უმდიდრეს ფოტოარქივში უხვად ინახება ჩვენი ვახტანგის ფოტოგორესპონდენტის, ბატონ რომან ბუქიას მიერ სხვადასხვა წლებში გადაღებული ფოტოები, რომლებზეც ღანიოში ბატონი ვახტანგ ბაღაგამეს სტუმრობის უკვე ისტორიული მომენტებია აღბეჭდილი. ნათელში დაავანოს უფალმა ბატონი ვახტანგის სპეტაკი სული.



1972 წელს სამტრედიაში. წინა რიგში: ვ. ბაღაგამე, თ. თავაძე, თ. მიქაძე, პ. ნადირაძე, გ. კალაძე, ნ. კობახიძე, რ. დოლიძე. მ. ბაზატაძე, რ. ბუქიაძის ფოტო. მალხაზ კობახიძის ბლოგი.

გაზეთ "სამტრედიის მაცნე" რედაქცია იუსუება ბატონი **მასთან ბაღაგამის** გარდაცვალებას და თანაგრძნობის განსვენებულის ოჯახს.

მიხეილ, მზო, ჯულიეტა, ალექსი და ვახტანგ ბაღაგამეები ღრმა მწუხარებით იუსუებან, რომ გარდაიცვალა სახელოვანი მამულიშვილი, პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში

მასთან ბაღაგამი და თანაგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ლევან გაბაჩავა

ბეჟან გოგია, თამაზ ნიკურაძე თანაგრძნობენ რემი, ვლადი, მამუკა ვაჰაიძეებს მეუღლისა და დედის, ქალბატონი **გონი** გარდაცვალების გამო.

დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობენ რემი, მამუკა და ვლადი ვაჰაიძეებს მეუღლისა და დედის, ქალბატონი **გონი** გარდაცვალების გამო.


"საქართველოს რკინიგზის" დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოს ადმინისტრაცია თანაგრძნობს რემი, ვლადიმერ და მამუკა ვაჰაიძეებს მეუღლისა და დედის, ქალბატონი **გონი** გარდაცვალების გამო.

"საქართველოს რკინიგზის" დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოს ადმინისტრაცია სამძიმარს უცხადებს ბატონი ილო ტაბიძეს სიღერის, ქალბატონი **თამარის** გარდაცვალების გამო.

ბეჟან გოგია, თამაზ ნიკურაძე, ბადრი ზეინა მწუხარებით იუსუებან, რომ გარდაიცვალა **პახა ჩხარტიშვილი** და თანაგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ლევან გაბეჩავა მწუხარებას გამოთქვამს **პახა ჩხარტიშვილის** გარდაცვალების გამო და თანაგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეგობრები მწუხარებით იუსუებან, რომ გარდაიცვალა **პახა ჩხარტიშვილი** და თანაგრძნობენ ოჯახს.



ლება მოვიძიოთ, თუ მოვიინდობთ! ამ შემთხვევაში რუსეთთან მედატორის როლის შესრულებასაც შეეძლებოდა, დასავლეთთან ურთიერთობის გამოსასწორებლად. მით უფრო, რომ ამის გაკეთება, ლოგიკურად თუ ვაიმჯელებით, ორივე მხარეს აძლევს ხელს. ასეთი ცვლილებები აუცილებლად დასწევდა დღეს მსოფლიოში და თუ ავანგარდშივე ჩაუვლებით ამ საქმეს სათავეში, საკუთარ პოზიციებს გაეუმჯობესებდა მსოფლიო კონომიკაში. ცხადია, ბატონი ბიძინას ჩართვა ამ მიმართულებით ქვეყნის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად გაზრდის მსოფლიო მასშტაბით. გაანალიზებთ ის, რაც არსებულ საგარეო კონომიკურ პოლიტიკას ეწირება ჩვენი მსხვილი მკერძოების მხრიდან, თუ მის ნახევარს ახალი ეკონომიკური კურსის მიმართულებით წარგმართავენ, ნაწილს კი ქვეყნის შიდა ეკონომიკას მოვახმარო, ქვეყანა გაძლიერდება, ხალხისა და ხელისუფლების ურთიერთობა გამოსწორდება და სოციალური ფენათა თანარსებობაც შესაძლებელი გახდება!

ნინოს შემადგენელი ნაწილია, თითოეული მათგანს საკუთარი ენერგეტიკული კოდი და ვალდებულება გააჩნია ამ სამყაროში. ამიტომ თითოეულის რეალიზაცია და განვითარება აუცილებელია. სხვა შემთხვევაში, ცივილიზაციის ევოლუციური ვაჭვოს წვეტასთან გვეჭება საქმე და შედეგაც ფატალური შეიძლება აღმოჩნდეს!

ყოველი ადამიანი კი, ჭადრაკის ფიგურების მსგავსად, კუხალურ რიგშია ჩართული და მათი ქმედებები გარემოების მხრივია განსაზღვრული. ამიტომაც წუხს, ხან მარტოსულობით იტანჯება, ხან სხვაზე ძალადობს, კლაფს, ჩაგრაფს, ზოგჯერ სუიციდით წვეტს არსებობას. უჭირს ადამიანს, როცა ქვეყნის იდეოლოგია მას არ ეხმარება და კარგ თვისებებს არ ავითარებს მასში. რეალურად ადამიანი სავსებით მოკლებულია თავისუფლებას, ანუ იგი თავისუფალია მხოლოდ ნაწილობრივ და ფარდობითად. როდის, რა დროს გვაგებინებს პასუხს ვახტანგ არა მხოლოდ ჩვენს ცოდვებზე, არამედ ჩვენ თვალწინ სხვების მიერ ჩადენილ ბოროტებაზე, არასდროს ვიცით. ეს აბსოლუტური

*ბა საბანდელიძემ
შეიძინა კუბლივისტი*

ცნობილი სახე(ლ)ები და გულწრფელი უხეპდრა

ლევან ბაბქიანი

ამ დღეებში მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო დარბაზში იმ სამტრედიელ სპორტსმენებს შეხვდნენ მერიის ხელმძღვანელები, რომელთა სპორტულ მიღწევებზეც არაერთხელ თქმულა და დაწერილია, მომზადებულია სატელევიზიო რეპორტაჟები.

მოჭადრაკეები, კარატისტები, ფრენბურთელები, კინგბოქსინგელები... თითქმის სპორტის ყველა სახეობის მოწინავე, უკვე ტიტულოვანი სპორტსმენი, მათი მწვრთნელები და მშობლები იმყოფებოდნენ დარბაზში.



კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორი ივანე კელტავა მიესალმა შეკრებილთ და მოკლედ ისაუბრა სამტრედიელ სპორტსმენთა წარმატებებზე, მწვრთნელ-მასწავლებლებისა და მშობლების ძალისხმევაზე მათ მიღწევებში და მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს თანადგომისა და მხარდაჭერისათვის.

შეხვედრა საქმიან გარემოში ჩატარდა, ითქვა მიღწევებზეც, პრობლემებზეც, რომლებსაც სპორტსმენები და მათი მწვრთნელები აწყდებიან.

კარატისტთა კლუბის თავკაცმა, სენსეი მიხეილ ქანთარია მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მესვეურთ თანადგომისათვის და აღნიშნა, რომ სამტრედიელთა მაფორიტარი დეპუტატი და ხელისუფალნი უფრო მეტად უნდა დაინტერესდნენ სამტრედიელი კარატისტების ბედით, მათი მიღწევებით. საერთაშორისო ასპარეზობებზე ჩვენი კარატისტების მიღწევები მეტ ყურადღებას იმსახურებს. - აღნიშნა მან.



განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება პატარა ლუკა რუხაძეზე, რომელიც ჯერ სკოლის მოსწავლეს არ არის და საქართველოს ჩემპიონია ჭადრაკში შეიძლება ასაკის სპორტსმენთა შორის.

შეკრებილთ მიესალმნენ და მუნიციპალიტეტის მერს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მადლობა მოახსენეს მწვრთნელ-მასწავლებლებმა თამაზ გოგიბერიძემ, მანანა ტყეშელაშვილმა, ბესარიონ ლევაკამ, ნინო ჯვარშიაშვილმა, კობა კეკელიძემ და სხვებმა.

საოცრად მსიამოვნებს, როცა ამდენ ჯილდოსა და ჩემპიონს ერთად ვუცქერი. კანონისა და ბიუჯეტის შესაძლებლობების ფარგლებში ყოველ ღონეს ვიხმართ, კვლავაც გავაგრძელოთ თქვენდამი თანადგომა და მხარდაჭერა, მადლობა თითოეულს, ჩემპიონებს, მწვრთნელებს, მშობლებს. - მიესალმა შეკრებილთ მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია და აქვე რჩევაც მისცა მწვრთნელებს, მოიძიონ და დაუკავშირდნენ ქვემოთქმულ მეცენატ სამტრედიელებს, რომლებიც მათ პრობლემებს რამდენადმე მაინც გადაუჭრით.

მუნიციპალიტეტის მერის კეთილ სურვილებს გულწრფელად შეუერთდნენ მერის მოადგილე დავით ბახტაძე, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძველთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე ბადრი შენგელია.

აღინიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები, რომლებიც ბოლო სამი წელი დაამკვიდრა მუნიციპალიტეტის მერმა, უდავოდ შეუწყობს ხელს სპორტსმენთა, მათ მწვრთნელთა მოტივაციას და ახალი გამარჯვებების საწინდარი იქნება.



მწვრთნელი ბესო ლევაკა ნანა ალექსანდრიას თასის მფლობელია!

დამთავრდა ფოთის XIII საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი "ფოთი 2018" რომელიც ითვალისწინებდა 10 სხვადასხვა, როგორც მოზარდთა, ასევე ღია ტურნირს. მასში მონაწილეობდა 21 ქვეყნის 400 მოჭადრაკე. ფესტივალის საპრაიზო ფონდი კი შეადგენდა 45 000 ლარს.

ამ ტურნირში ბრწყინვალედ იასპარეხა სამტრედიის სპორტული სკოლის მწვრთნელმა ბესო ლევაკამ, რომელმაც 9 პარტიიდან 7 მოიგო და ორი ყაიმით დაასრულა. ბესო ამ შესანიშნავი შედეგით I ადგილის მფლობელი გახდა "D open"-ში და შესაბამისად ნანა ალექსანდრიას თასიც მოიპოვა.

აღსანიშნავია აგრეთვე, მისი მოსწავლეების, და-ძმა ხატია და ლუკა რუხაძეების, კარგი თამაში. 6 წლის ლუკა, რომელიც ჯერ კიდევ სკოლაში არ დადის, უკვე იმერეთისა და საქართველოს ჩემპიონია 7 წლამდე ასაკში; ამჟამად მასზე ორი წლით უფროს მოჭადრაკეებთან იასპარეხა და 9 შესაძლებლობიდან 6,5 ქულით მესამე-მეექვსე ადგილები გაიყო კოეფიციენტით. ხატია კი 5 ქულით მოაგროვა.

გულოცავ ბატონ ბესო ლევაკასა და მის მოსწავლეებს ამ დიდ წარმატებას!

გულური გივიძიძე
საპრაიზის მაცნე, მაცნისა და საპრაიზო კლავსო აკადემიის "ვახისისა" და "ალღას" წევრი



ამ კაცისთვის სცენის კარი, სულ მუდამ რომ არის ღია, ამიტომაც გაჩურაბელს აკლვად უხეპარს ჩვენი გია.

ქალბატონ მარინა ქართვილიძე სიყვარულით ვულოცავთ იუბილეს. ჯანის სიმრთელეს და პროფესიულ წინსვლას ვუსურვებთ, დმერთმა სიკეთე არ მოაკლოს მის შესანიშნავ ოჯახს! გწვლობდეთ უფალი!

უახლოესი მეზობლები



ნუპი ხუროშიძეს და გიორგი ვაჟაიძეს!

გილოცავთ დაქორწინებას. სიკეთეს, უღვე სიხარულს, მრავალშვილიანობას გისურვებთ. ბედნიერება, უფლის ნათებად დაგდგომოდეთ ცხოვრების გზაზე. იხარეთ და გაგვახარეთ!

"საპრაიზის მაცნე"

გულოცავთ!

ლუკა ლევაკა!

ნიჭიერ, პერსპექტიულ ახალგაზრდას სიყვარულით გილოცავთ 17 წლის შესრულებას. წარმატებების, სიხარულისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს შენთვის ყოველი წელი, ჩვენო ლუკა!

უფალმა გაგაძლიეროს!

"საპრაიზის მაცნე"



რედაქციის მისამართი: საპრაიზო, რისპუბლიკის ქ. №6 ტელ: 790 391839

მაცნე

დირექტორი ბექან გოგია

მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაიძე
გამომშვეები რედაქტორი თამაზ ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბქიანი
კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაძე